ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 30 (1431) 14-21 სექტემბერი 1995 წ.

## კრიზისული ადამიანი

**აკაკი ბაქრაძე**

**საქართველოში** უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა კრიზისული ადამიანის ტიპი. ეს არც მოულოდნელია და არც გასაკვირი. როცა ქვეყანაში ქაოსია, შინააშლილობა, ეკონომიკა ძირფესვიანად მოშლილია, ნაირნაირი ჯურის ავაზაკები დაუსჯელად დაპარპაშებენ, არ არსებობს მტკიცე ხელისუფლება და ყველაფერს თავაშვებულობა დაუფლებია, კრიზისული ადამიანის ტიპი ძალიან ადვილად ყალიბდება.

ამ ვითარებას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ საქართველო სასტიკად დამარცხდა (რუსეთმა წაგლიჯა შიდა ქართლი და აფხაზეთი), მაშინ კრიზისული ადამიანის ტიპის ჩამოყალიბება მოვლენათა განვითარების ბუნებრივ შედეგად უნდა ჩავთვალოთ, ოღონდ უაღრესად სახიფათო და საშიშ მოვლენად.

დღეს საქართველოს მომავალს ისეთი დიდი განსაცდელით არაფერი ემუქრება, როგორც კრიზისული ადამიანი. მისი მართვა იოლად შეიძლება, საითაც გინდა, იქით უბიძგებ, რასაც გინდა, იმას ჩაადენინებ. იგი თიხას ჰგავს. როგორც თიხისაგან გამოძერწავ იმას, რასაც მოისურვებ, ასევე კრიზისულ ადამიანს რაზეც გინდა, იმაზე დაითანხმებ მას ნებისყოფა წართმეული აქვს. არსებობის შიშით შეპყრობილი თანახმაა ყველაფრისა, ოღონდ გადარჩეს.

დღევანდელ საქართველოში კრიზისულ ადამიანს საზოგადოების ყველა ფენაში, ყველა ჯგუფში შეხვდებით. განსხვავება არ არის მუშაა იგი თუ გლეხი, მეცნიერი თუ ხელოვანი, სახელმწიფო მოხელე თუ საქმის კაცი. ყველა ჩვენთაგანში კრიზისული ადამიანის ცნობიერებამ გაიდგა ფესვი. იმის მაგიერ, რომ კრიზისული ადამიანის ტიპს, მის ცნობიერებას ებრძოდეს ჩვენი მეცნიერება, ჩვენი ხელოვნებალიტერატურა, ჩვენი პროპაგანდა, პირიქით, ყველა საშუალებით ამკვიდრებს მას. ვის, თუ არა ჩვენს მეცნიერებს, შეუძლიათ აუხსნას ქართველ ხალხს, რომ საქართველოს არ სჭირს არაფერი ისეთი, რომ ეკონომიკურად თავისთავი ვერ შეინახოს და სხვის სამადლოდ იცხოვროს. საქართველოს 69 ათას ხუთასი კვ.მ. ტერიტორია უჭირავს (რა თქმა უნდა, დღეს წართმეული შიდა ქართლისა და აფხაზეთის ჩათვლით) და 5 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. ჰოლანდია კი 36 ათას ცხრაას კვ.მ. ტერიტორიას ფლობს და 15 მილიონი მოსახლეობა ჰყავს. საქართვე-

გაგრძელება მე-3 გვ.

## სხვაგან კაკანებს და კვერცხს სხვაგან დებს

ორაზული ხმებით, ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელმაც ბოლო ხანებში ელვისებურად ჩამოაყალიბა სოციალისტური პარტია, კენჭისყრას აპირებს არა საკუთარი პარტიის სიით, არამედ მოქალაქეთა კავშირის პარტიული სიით. როგორც ჩანს, ვიცე-სპიკერს შიში აქვს იმისა, რომ სოციალისტები 5 %-იან ბარიერს ვერ გადალახავენ და ჩვენი მგზნებარე ლიდერი უმრავლესობისა მშრალზე დარჩება. თუ ეს ასე აღმოჩნდა, დაისმება მარტივი კითხვა — რა საჭიროა პარტია, რომელიც არც ხალხს უნდა და არც მისივე ლიდერს?

## შანტაჟი არჩევნების წინ

### ქალაქ გორისა და გორის რაიონში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს განცხადება

**ჩვენთვის** ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი აკრძალული მეთოდებით იყენებს საკუთარ სამსახურებრივ მდგომარეობას და წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელების, გორისა და ცხინვალის რაიონების სოფლების საკრებულოების მდივნებისა და გამგებლების, ცალკეული მოქალაქეების მიმართ ეწევა თანამდებობრივ ტერორს.

ემუქრებიან მათ სამსახურიდან მოხსნით, დაპატიმრებით, ეწევიან პიროვნულ შანტაჟს. აიძულებენ გაუწიონ ფულადი და მატერიალური დახმარება, ავალდებულებენ პარტიაში გააწევრიანონ შრომითი კოლექტივები, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ.

მოქალაქენო, ქალაქ გორისა და გორის რაიონის პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭო მოგმართავთ თხოვნით გვაცნობოთ ძალადობის თითოეული ფაქტის შესახებ. გარწმუნებთ, თქვენი თანამდებობრივი და მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი და გარანტირებული იქნება.

ჩვენ არავის მივცემთ უფლებას ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას ხელი შეუშალოს დემოკრატიის იმ ურთულესი გზების გაკვალვაში, რომელიც მან საკუთარი სისხლის ფასად მოიპოვა.

საკოორდინაციო საბჭოში გაერთიანებული პარტიების სახელით:

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გორის რეგიონული ორგანიზაცია **გ.ყარანგოზაშვილი**
2. საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური პარტია გორსა და გორის რაიონში **ვ.ოქროპირიძე**
3. საქ. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის გორის რეგიონული ორგანიზაცია **ნ.ნინოშვილი**
4. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გორის კომიტეტი **თ.მაყაშვილი**
5. მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის გორის რეგიონული ორგანიზაცია **გ.ციციშვილი**
6. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის გორის რეგიონული ორგანიზაცია **გ.ხუროშვილი**
7. დემოკრატიული პარტიის გორის რეგიონული ორგანიზაცია **თ.მაზმიშვილი**
8. კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ქ.გორისა და გორის რაიონის კომიტეტი **ი.წიკლაური**
9. მერაბ კოსტავას საზოგადოების გორის რაიონული კომიტეტი **პ.გაგნიძე**
10. რეფორმატორთა კავშირის გორის ორგანიზაცია **გ.იასაშვილი**
11. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გორის რეგიონული ორგანიზაცია **რ.ოქრუაშვილი**

ქალაქ გორის და გორის რაიონში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების საკორდინაციო საბჭოს სპიკერი **რ.ოქრუაშვილი**

მინაწერი: მოქალაქეთა კავშირის გორის რეგიონულმა ორგანიზაციამ განცხადებას ხელი არ მოაწერა.

# მიზანი ერთია — დიადი, ნათელი

## მცირე კომენტარი ბორის ელცინის პრეს-კონფერენციისა გამო

**პარასკევს**, 8 სექტემბერს, კრემლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, შეიძლება ითქვას, რამოდენიმე სენსაციური განცხადება გააკეთა. კერძოდ, კიდევ ერთხელ გამოთქვა რა თავისი, რბილად რომ ვთქვათ, უკმაყოფილება ნატო-ს ავიაციის მიერ ბოსნიელ სერბთა პოზიციების დაბომბვის გამო, ელცინმა აღნიშნა, რომ თუ ასე გაგრძელდა, რუსეთი მარტო ჰუმანიტარული დახმარებით არ შემოიფარგლება. „ჩვენ სერბებს სამხედრო დახმარებასაც გავუწევთ!“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

საერთოდ ყოფილ იუგოსლავიაში მიმდინარე პროცესები რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში მეტად მტკივნეულად აღიქმება, რის დასტურადაც, ამას წინათ დუმაში გაჩაღებული ცემა-ტყეპა და ზოგიერთი მანდილოსანი დეპუტატის თმებით დათრევის ფაქტიც კმარა. ბალკანეთიდან ფეხის ამოკვეთა ხომ რუსეთისთვის იგივეა, რაც ევროპაში გავლენის სფეროებზე ოცნების სრული და საბოლოო აღსასრული. ერთმორწმუნე სერბიის მარცხი რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ხელყოფაა, ამიტომ ელცინის მუქარა ცარიელი რიტორიკა არ არის. მითუმეტეს, რომ ჩეჩნეთის კატასტროფის შემდეგ „წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტი ყოველმხრივ შეეცდება „დერჟავნიკობის“ იმიჯის განმტკიცებას.

დავუბრუნდეთ კვლავ პრეს-კონფერენციას. რუსეთის პრეზიდენტის პრეტენზიები ნატო-ს მიმართ მხოლოდ ბალკანეთის მოვლენებით არ შემოფარგლულა. ელცინის თქმით, ნატო „ცეცხლს ეთამაშება“. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განზრახვა — გაფართოვდეს აღმოსავლეთისკენ — მთელს ევროპას ახალი, დიდი ომის საშიშროების წინაშე აყენებს. პრეზიდენტმა ხაზგასმით განაცხადა, რომ „თუკი ნატო რუსეთის საზღვარს მოუახლოვდება, ჩვენ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად შევქმნით „ვარშავის ხელშეკრულების“ მსგავს სამხედრო ორგანიზაციას!..“

აი, ასე! არც მეტი, არც ნაკლები! კაცმა რომ თქვას, ამაში ახალი და სენსაციური მაინცდამაინც არაფერია, დემოკრატიის გზაზე შემდგარ რუსეთს თავის ექსპანსიონისტურ ზრახვებზე ხელი რომ არ ჩაუქნევია; ხოლო იმპერიის აღდგენა (თუნდაც „დემოკრატიული“ ფორმით) კვლავ მის სტრატეგიულ მიზნად რჩება — ყველამ კარგად იცის და ვინც არ იცის, იმას უბრალოდ არ სურს, რომ იცოდეს. აქ საინტერესოა ორი მომენტი. პირველი: ნაკლებად მოსალოდნელია, რუსეთის პრეზიდენტის ულტიმატუმმა სერიოზულად რომ დააბრკოლოს ნატო-ს გაფართოების პროცესი. აღმოსავლეთ ევროპის, ანუ ექს-მოძმე სოციალისტური ქვეყნების ნატოში გაერთიანება შეუქცევადი პროცესია. ინტეგრაციის ტემპი იმატებს. ასე რომ, „ვარშავის პაქტის“ ესენგისტური ვარიანტის განხორციელება სულ მალე დადგება დღის წესრიგში.

მეორე მომენტი: ერთ-ერთ თავის ინტერვიუში, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, სოციალისტური პარტიის ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ თუკი ოდესმე მოხდება დაპირისპირება ნატო-ს და რუსეთს შორის, იგი პირველ რიგში ითხოვს საქართველოს „ესენგე“-დან გასვლას! ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელი იყო ბატონი ვახტანგი, თუ მის „ესენგოფილურ“ წარსულს (და აწმყოს) გავითვალისწინებთ; მაგრამ არცთუ შორეულ მომავალში მასაც და საქართველოს ხელისუფლებასაც ძნელი არჩევანის გაკეთება მოუწევთ — ცხადზე უცხადესია. ხოლო როგორ ჩაჯდება „მათი არჩევანი“ რუსეთ-დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ბალანსირების ამჟამინდელ პოლიტიკაში — ეს კიდევ უფრო ძნელი სათქმელია.

მ. კალმახიძე

## აკაკი ბაქრაძე საკუთარ კანდიდატურას არ მოხსნის

**სამშობლოს** რადიოთი გადაიცა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ბატონი აკაკი ბაქრაძე აპირებს საკუთარი კანდიდატურის მოხსნას პრეზიდენტის არჩევნებში. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად ჩვენ დავუკავშირდით ბატონ აკაკის, რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი ვარაუდის საფუძველი მას არავისთვის მიუცია, რომ იგი საკუთარი კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს.

სავარაუდოა, დაინტერესებულ ძალებს აწყობთ მსგავსი ჭორების გავრცელება, რათა ამომრჩევლებში დანერგონ აზრი, რომ ბაქრაძე რეალური კანდიდატი არ არის, რამდენად ზნეობრივია ამგვარი ჭორების მიზანდასახულად გავრცელება, მკითხველმა განსაჯოს.

## ალექსანდრე შუშანაშვილი: პრივატიზაცია ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ წელში ვერ გავიმართებით

**11 სექტემბერს** გენერალური პროკურორის მოადგილემ ალექსანდრე შუშანაშვილმა და პროკურორმა ზურაბ გოგატიძემ პრესკონფერენცია გამართეს — საკითხი, რომლის გარშემოც იყო საუბარი, ეხებოდა ღვინის ქარხნების უკანონო პრივატიზაციას.

კანონი პრივატიზაციის შესახებ ირღვევა უხეშად, — განაცხადა ალ.შუშანაშვილმა. ეს არ არის პრივატიზაცია, ეს არის სახელმწიფო საკუთრების განიავება. წინანდლის ღვინის ქარხანა გაიყიდა 10 მილიონ კუპონად., ყვარლის ღვინის ქარხანა 450000 რუსულ მანეთად (ანუ 100 დოლარად), თბილისის №1 ღვინის ქარხანა, რომელსაც ვერეს ღვინის ქარხნის სახელით იცნობენ, 40000 დოლარად.

ბატონმა ალექსანდრე შუშანაშვილმა პოპულარული ენით აგვიხსნა, თუ როგორ ხდება ფასების ხელოვნურად შემცირება. საერთოდ კანონი ითვალისწინებს საწყისი ფასის განსაზღვრის ორ ვარიანტს: პირველი, როდესაც საწარმო თავის პირვანდელ პროფილს არ კარგავს. ამ შემთხვევაში საწყისი ფასი უნდა განისაზღვროს შემოსავლიდან, ანუ მოგებიდან. მეორე, როდესაც საწარმო მუდმივად ზარალიანია და გაკოტრებულია, მაშინ ხდება მისი ინვენტარიზაცია, საქონლის შეფასება იმ მომენტისთვის არსებული ფასების ცხედვით და შემდეგ გაყიდა. მაგრამ დღეს საქართველოში ყველა მექანიზმი მოშლილია, ბაზარი არ არსებობს, მოგების ანგარიში თითქმის შეუძლებელია და პირველადი ფასის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: საბალანსო ღირებულებას აკლდება ცვეთის ღირებულება, ხდება კოეფიციენტზე გადაანგარიშება და ფასიც მზადაა.

მაგალითად, ყვარლის ღვინის ქარხანაში, 43 ცალი რკინის ცისტერნა, რომელიც 1955 წელს იყო გამოშვებული, გაიყიდა 13,975 კუპონად, ხოლო ექვსი ვერტიკალური ცისტერნა, 200 ტონა ლიტრის ტევადობისა, გაიყიდა 29000 კუპონად. რაც მთავარია ეს ცისტერნები დღეს აღარ არსებობენ, ისინი ახალმა პატრონმა ჯართად გაყიდა.

„ჩვენ ასე წელში ვერ გავიმართებით, სახელმწიფოს უჭირს საწარმოების ამუშავება და „ულიკმა“ რომ ქარხანა იყიდა, ის აამუშავებს საწარმოს?“ — იკითხა ბატონმა ალ. შუშანაშვილმა.

ძნელია არ დაეთანხმო გენერალური პროკურორის მოადგილეს, მაგრამ „ულიკმა“ სახელმწიფო ქონება ხელში რომ არ ჩაიგდოს, ეს სწორედ ხელისუფლების მოვალეობაა. ვის უჩივიან ხელისუფლების წარმომადგენლები, საკუთარ თავს?

ლელა ჯაფარიძე

# კრიზისული ადამიანი

**აკაკი ბაქრაძე**

პირველი გვერდიდან

ლოს და ჰოლანდიის კლიმატური პირობების შედარება ხომ შეუძლებელია და შეუძლებელი. საქართველოში ხომ ბევრად უკეთესი კლიმატური ვითარებაა! ჰოლანდია მსოფლიოს ერთი უმდიდრესი ქვეყანაა და ეკონომიკური კეთილდღეობით — სანიმუშო, საქართველო კი — ღატაკი და საცოდავი. თუკი საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ტერიტორიის მქონე ჰოლანდიას შეუძლია გამოკვებოს და გადადილღვამებული აცხოვროს საქართველოზე სამჯერ მეტი მოსახლეობა, ჩვენ ქვეყანას რა ისეთი ჭირი შეეყარა, რომ ეს ვერ მოახერხოს? კრიზისული ადამიანის ცნობიერება უშლის ამას ხელს და იგი უნდა დაიძლიოს.

მართალია, დაბალია ჩვენში შრომის კულტურა და იგი ჰოლანდიელისას ვერ შეედრება, მაგრამ ამის აღზრდა შეიძლება. ამის სწავლა შეიძლება. მაგრამ, ის კი არ უნდა უჩიჩინო, რომ თუ რუსეთმა გამხმარი პურის ყუა არ გამოგიგზავნა, შიმშილით მოკვდებით, არამედ იმაში უნდა დაარწმუნო, რომ ჩვენი მიწა-წყლის პატრონს თავისთავის შენახვაც შეუძლია და სხვა დამშეული ქვეყნების დახმარებაც. ჩვენი მეცნიერების ამოცანა ის კი არ არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას დაუჭიროს მხარი და ტაშისცემით ხელისგულები დაიხეთქოს, არამედ ჩვენს ხალხს ასწავლოს როგორ მოაწყოს და ააწყოს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა.

ბევრი იმას იმიზეზებს, რომ საქართველოში, ერთი მხრივ, შინააშლილობაა, და, მეორე მხრივ, რუსეთი თავს დაგვესხა და ჩვენი ღვიძლი მიწა-წყალი წაგვართვა, ქართული მოსახლეობა აჰყარა და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად აქცია. ამ უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს მოვლა-პატრონობა უნდა და ყველა გასაჭირს ერთად ვერ გავუძელით. მართალია ყველაფერი ეს. მაგრამ იმას თუ გავიხსენებთ, რა ვითარებაში ჩამოაყალიბა ისრაელმა თავისი სახელმწიფო, შეიძლება მხნეობა დაგვიბრუნდეს. 1948 წლის მაისში გამოცხადდა ისრაელის დამოუკიდებლობა. მას მერე ებრძვის ისრაელი გარსშემორტყმულ არაბულ ზღვას. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ უზარმაზარ არაბულ სამყაროს სსრკ ეხმარებოდა (ახლა რუსეთი აგრძელებს ამას). ამარაგებდა იარაღით, უგზავნიდა სამხედრო ინსტრუქტორებს, ხელს უშლიდა სხვა სახელმწიფოებს დახმარებოდნენ ისრაელს. ასე რომ, ისრაელი არა მარტო არაბულ ქვეყნებს ებრძოდა, არამედ სსრკ-საც. მიუხედავად ამისა, უძლიერესი არმიაც შექმნა, სამხედრო მრეწველობაც (თერმობირთვული იარაღის დამზადებაც კი შეუძლია) და ქვეყანაც ააყვავა ეკონომიკურად. არც შინ ყოფილა ისრაელი მოსვენებული. თუ საქართველოში შინააშლილობაა, ისრაელში პალესტინელი არაბები არ ასვენებდნენ ქვეყანას. ტერორიზმი, დივერსიები, მშვიდობიან მოქალაქეთა რბევა-აწიოკება, არაფერი დაკლებია ისრაელს აგერ ორმოცდახუთი წლის მანძილზე. მაგრამ ვერაფერმა გატეხა ებრაელი ხალხის სული. დაცემის ნაცვლად იგი ძლიერდება და ძლიერდება. იმდენად ძლიერი გახდა, რომ შეუპოვარი პალესტინელი არაბების მასთან მორიგებას დაყაბულდნენ. თავს იმით ნუ ვიმართლებთ, რომ ისრაელს მთელ მსოფლიოში გაფანტული მდიდარი ებრაელები ეხმარებოდნენ. დახმარება კარგია, მაგრამ ვერავითარი დახმარება ვერ უშველიდა ისრაელს, თავად მის მოსახლეობას რომ არ გამოეჩინა შეუდრეკელი ვაჟკაცობა და შრომისმოყვარეობა. უცხოეთში მოსახლე ებრაელებს კი არ უჭირავთ იარაღი ხელში, არამედ ისრაელელ ჭაბუკებს და ქალიშვილებს. უცხოეთში მოსახლე ებრაელი კი. არ ებრძვის უდაბნოს, არამედ ისრაელელი მშრომელი კაცი. მტკაველ-მტკაველ ართმევს იგი ხორშაკ და ხრიოკ უდაბნოს მიწის ნაჭერს, რომ ბაღნარად აქციოს. უცხოეთში მოსახლე ებრაელები კი არ მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, არამედ ისრაელის მოქალაქეები. ისინი ქმნიან პროდუქციას, რომელსაც მოაქვს ხვავი და ბარაქა ქვეყანაში.

ისრაელის ტერიტორია სულ 20 ათას 700 კვ.მ. (ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე სამჯერ ნაკლები). მოსახლეობა კი სამ მილიონს ოდნავ აღემატება და ამ პაწია ქვეყანამ თვალუწვდენელი არაბული სამყაროს შეტევასაც გაუძლო და სსრკ-ის (რუსეთის) მზაკვრობას, ვერაგობას და ხრიკებსაც. ეს მოახერხა ისრაელმა იმიტომ, რომ ებრაელ ხალხს საკუთარი თავის იმედი ჰქონდა, საკუთარი ეროვნული ენერგიის რწმენა ამოქმედებდა.

საქართველომაც საკუთარი თავის იმედით და რწმენით უნდა იცხოვროს, იშრომოს და იბრძოლოს. ჩვენმა მწერლობა-ხელოვნებამ ეს იმედი და რწმენა უნდა აღზარდოს ქართველი ხალხის სულში. მან ერთსულოვნად კვერი არ უნდა დაუკრას საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას, თუ ქართული მწერლობა-ხელოვნება დაეთანხმება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას, მაშინ იგი კიდევ უფრო მეტად დაამკვიდრებს ჩვენში კრიზისული ადამიანის ტიპსა და ცნობიერებას. ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოს დაღუპვას. ჩვენს მწერლობა-ხელოვნებაში დღეს ის ვაჟკაცური, შეუპოვარი, მედგარი სული უნდა ტრიალებდეს, რაც თუნდაც 1941-45 წლებში ტრიალებდა. დასაშვებია გაჭირვებულ და ხანმოკლე საქართველოს ფილმების გადაღება ან წარმოდგენის დადგმა არ შეეძლოს დღეს, მაგრამ ლექსის დაწერას და სიმღერის შეთხზვას კი რა თავი უტკივა? ამას ქაღალდის ნაგლეჯი, ფანქრის ნატეხი და გაუტეხელი სული უნდა. მაგრამ ხელოვნება-მწერლობაში კრიზისული ადამიანის გამარჯვებამ წაგვართვა „არაგვული ლაშქრულისა“ და „მუმლი მუხასას“ შემქმნელთა გულადობა, მათი მხნეობა, ჭირის გაძლება და მტრის დამარცხების უნარი.

დღეს საკითხი უბრალოდ არ დგას — შევა თუ არა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. დღეს დგას პრობლემა — იარსებებს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ არა. იარსებებს ქართველი ხალხი, როგორც თავისუფალი ერი თუ არა. იქნება ქართველი ხალხი ერი თუ დარჩება ეთნოგრაფიულ მასალად, როგორც ზურაბ ავალიშვილი ამბობდა, და მისგან დრო და ჟამის შესაფერისად ჩამოყალიბდება ხან სპარსელი, ხან თურქი და ხან რუსი.

კრიზისული ცნობიერების ადამიანები საქართველოს ვერ გადაარჩენენ. დღეს საქართველოს ყველა საქმეში — სახელმწიფო მმართველობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მწერლობაში, სკოლაში თუ უმაღლეს სასწავლებელში — ის ადამიანები სჭირდება, ვისაც დაძლეული აქვს კრიზისული ცნობიერება ან შეუძლია დაძლიოს იგი.

ფრიდრიხ ნიცშეს ზარატუსტრა ქადაგებდა: ჩემი მოძღვრება ის არის, რომ, ვისაც ფრენის სწავლა სურს, პირველად მან დგომა, ცოცვა, სიარული, სირბილი, ცეკვა უნდა ისწავლოს. არ შეიძლება უცბათ ფრენის სწავლა... თუ თქვენ გინდათ მაღლა ახვიდეთ, ისარგებლეთ საკუთარი ფეხებით. ნუ მისცემთ უფლებას გატარონ. ნუ დასხდებით სხვების მხრებსა და თავებზე.

**1993 წ. ოქტომბერი**

**ახალი წიგნიდან: „დაწუნებული გზა“**

## წიწამურის ტრაგედია

**წიწამურის ტრაგედიიდან 88 წელი გავიდა. ის ტყვია, ილიას რომ ესროლეს, დღესაც არ გაცივებულა... გული, ილიას მკერდში რომ სცემდა, დღესაც არ დადუმებულა...**

**გთავაზობთ ემიგრანტი ქართველის ილია ალექსანდრეს ძე პატიეშვილის ლექსს, რომელიც პირველად ქვეყნდება და რომელშიც შინაარსობრივად კარგად ჩანს, რომ ილიას მკვლელობამ იმ დროისათვის არა მარტო მთელი საქართველო, დუნიაზე გაბნეული ყოველი ქართველი შესძრა.**

## ვუძღვნი მგოსანს

### ილია ჭავჭავაძეს სახსოვრად ხარბინის ქართველებისაგან

მოჰკლეს მგოსანი, ქართველთ დიდება, საუკეთესო
მამულიშვილი;
მოჰკლეს, ვით მხეცი, სამარადისოდ მოუსპეს
მხცოვანს
სიცოცხლე ტკბილი,
მერე ვინ მოჰკლა? მისივე ძმებმა, ვინც იმის
მკლავზე იყვნენ გაზრდილი.
გამზრდელის შუბლი ტყვიით გახვრიტეს, გაუპეს
გული გრძნობით ავსილი.

დიდო მგოსანო! ტანჯულ სამშობლოს თავს
ევლებოდი სამოცი წელი;
ანმყო ცხოვრების გზები გაჰკაფე და მომავლისას
აჰხადე ბნელი,
საეროს საქმეს თავში უდექი ღვთიური ნიჭით,
გრძნობით ნათელით,
სამშობლოსათვის მარად იწვოდი, ვით ცეცხლზე
იწვის წმინდა სანთელი.

მის ცეცხლის ალში მუდამ იწვოდი საკეთილდღეოდ
შენი ერისა,
შენ გაანათლე ქართული ენა, შექმენი სკოლა
კითხვა-წერისა,
შენ ხარ პირველი ივერიაში,
დედა მშობელი ივერიისა,
გვირგვინი შენი ტანჯულ სამშობლოს, მსხვერპლი
უგუნურ ვერაგ მტერისა.

შენი ციური ნიჭის ლექსები სულისკვეთებით,
გრძნობით ნაწერი,
სამარადისოდ დარჩება ქვეყნად, სანამ იქნება
ქართველი ერი,
მას ვერ მისწვდება, ხელი შეახოს, ბილწი, ჯალათი,
სამშობლოს მტერი.
მას ვერ წაგვართმევს, სანამ ცოცხალ ვართ, ვერც
თვით ბუნების ხელში დამჭერი.

შენი ნიჭის და შრომისა ძეგლი, შენი სახელი, შენი
დიდება,
მგოსანო, გწამდეს, რომ მომავალში
რუსთველისამებრ გაბდიადდება.
შენი მკვლელების ზიზღი და გმობა ჩვენი ხსოვნიდან
არ გადინდება,
მანამ თვითეულ ჩვენგანის გულზე ცივი ლოდი-ქვა
არ დაიდება.

**საუკუნო ხსენება იყოს შენი, სასიქადულო ქართველო მგოსანო. ამინ!**

**ქალაქი ხარბინი, 1907 წლის 26 სექტემბერი.**

**ილია ალექსანდრეს ძე პატიეშვილი**

# გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი

## დავით ბერძენიშვილი

დაიბადა 1960 წ. 4 აგვისტოს ქ. ბათუმში. 1977 წ. დაამთავრა ქ. ბათუმის მე-9 ქართული საშუალო სკოლა. 1977-1979 წწ. სწავლობდა სპი-ს სამშენებლო ფაკულტეტზე; 1979—1986 წწ. სწავლობდა თსუ ისტორიის ფაკულტეტზე. 1986 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

1978 წლიდან არის საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი. ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით გაასამართლეს თანამზრახველებთან ერთად 1984 წ. 20 აპრილს. 1983-1985 წწ. სასჯელს იხდიდა სუკ-ის იზოლატორსა და მორდოვეთის პოლიტპატიმართა ბანაკში.

1986-1990 წწ. მუშაობდა ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად და მეცნიერ-თანამშრომლად.

1988-1989 წწ. იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი, 1989—1990 წწ. —სახალხო ფრონტის გამგეობისა და დარბაზის წევრი.

1989 წ. კვლავ მოღვაწეობს უკვე ლეგალურად მოქმედ რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ კომიტეტში.

1990—1991 წწ. იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი ბათუმის მაჟორიტარული ოლქიდან, საქმიანობდა ოპოზიციურ ფრაქციაში „დემოკრატიული ცენტრი“. 1991 წ. ივლისიდან არის აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი, ოპოზიციური ფრაქციის — „აჭარის“ წევრი. 1992 წლის მარტიდან ოქტომბრამდე საქმიანობდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოში, იყო საკონსულტაციო საბჭოს (1992 წ. იანვარ-მარტი) და სახელმწიფო საბჭოს აფხაზეთის კომისიის წევრი.

1992 წ. 11 ოქტომბრიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი (ფრაქცია „რესპუბლიკელები“).

1994 წ. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე დამტკიცდა გრპ პოლიტიკური საბჭოს წევრად. 1995 წ. 8 ივლისიდან არის გრპ-ს ეროვნული კომიტეტის პოლიტიკური მდივანი.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

## ნოდარ გრიგალაშვილი

დაიბადა 1958 წლის 3 მაისს ბორჯომის რ-ნის სოფ. ყვიბისში. 1975 წელს დაამთავრა ყვიბისის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებიდან ჩაება იმ დროისათვის არალეგალურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1977 წლიდან ავრცელებდა აკრძალულ ლიტერატურასა და ჰელსინკის ჯგუფის მიერ გამოცემულ ჟურნალისტებს.

იყო ქართული ენის დასაცავად მოწყობილი გრანდიოზული მანიფესტაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საპროტესტო დემონსტრაციის მზადება დაიწყო აპრილის დასაწყისში და დაგვირგვინდა 14 აპრილს.

1980 წელს, ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დასრულების შემდეგ დატოვებულ იქნა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კათედრაზე ასისტენტად. 1981 წელს მისივე თხოვნით გაგზავნილ იქნა განათლების სამინისტროს მიერ მესტიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1982 სასწავლო წელს კითხულობდა ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე. იყო თსუ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კათედრის მეცნიერ-მუშაკი. შეთავსებით მუშაობდა თბილისის №1 საშუალო სკოლაში პედაგოგად 1987 წლამდე.

1984-1988 წლებში იყო ალმანახ „კრიტიკის“ რიგითი რედაქტორი, განყოფილების გამგე, მსახურობდა თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამომცემლობაში მთავარ რედაქტორად. 1990 წლის ოქტომბრიდან გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორია.

1978 წლიდან იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. 1987-1991 წლებში გამოიცა მისი წიგნები: „აღსავლის კართან“, „ზრუნვის საგანი“, „სამწუხარო პარალელები“, „აი, ვინ გვარცხვენს“, „კეისარს კეისრისა“, „იქმენინ ნათელი“ (თბილისის I საშუალო სკოლის ისტორია), „ნიკო ლორთქიფანიძე“, „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“ ტ.I. არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ჟურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. წიგნისათვის „სამწუხარო პარალელები“ 1993 წელს მიენიჭა საქ. მწერალთა კავშირის ახალგაზრდული პრემია.

იყო საქართველოს სახალხო ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებელი მწერალთა კავშირში 1989 წელს, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე თეატრის მოღვაწეთა კავშირში.

იყო გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი, ამჟამად ამავე პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრია.

ჰყავს მეუღლე — ფიქრია ჯაფარიძე (ფილოლოგი)

ქალიშვილი — თამთა გრიგალაშვილი, 7 წლის, („ანარქისტი“).

## რომან გოცირიძე

დაიბადა 1956 წ. 7 ნოემბერს, გალში. სკოლა დამთავრა 1973 წელს წარჩინებით. სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით. 1982-85 წ. იყო თსუ ასპირანტი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ეკონომიკაში. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. არის ოცდათამდე სამეცნიერო და ასზე მეტი სამეცნიერო პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი.

იყო სახალხო ფრონტის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური მოღვაწე მისი დაარსების დღიდან (იყო დარბაზისა და გამგეობის მუდმივი წევრი), პარალელურად იყო რუსთაველის საზოგადოების ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე.

1990 წლის 28 ოქტომბერს არჩევნების შედეგად გახდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი. ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომაული ცენტრის“ თანათავმჯდომარე.

1992 წლის თებერვლის თვიდან იყო პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, სახელმწიფო საბჭოს წევრი.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში გახდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

1992-1994 წლებში იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

1995 წლის ივლისის თვეში არჩეულ იქნა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელ მდივნად.

ჰყავს მეუღლე.

## შოთა ნადირაშვილი

დაიბადა 1926 წელს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1944 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა 30-ე სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. 1949 წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ფსიქოლოგიის კათედრაზე. 1952 წელს დაამთავრა ასპირანტურა და მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტში ასისტენტის თანამდებობაზე. 1953-56 წლებში მუშაობდა ლექტორად ქ. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1956 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. იგი გახლდათ ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკი, განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე, ხოლო 1985 წლიდან — ინსტიტუტის დირექტორი.

1955 წელს დაიცვა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 1964 წელს — დოქტორის ხარისხი. 1969 წელს მიანიჭეს პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1983 წელს გახდა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1988 წლიდან კი აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

ჰყავს ცოლი და ორი ვაჟი. მეუღლე — მანანა ცინცაძე გახლავთ ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის უფროსი მეც. მუშაკი. ერთი ვაჟი — დიმიტრი ნადირაშვილი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მეორე ვაჟი — ალექსანდრე, უნივერსიტეტის კათედრის მეცნიერ მუშაკია.

შოთა ნადირაშვილი მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე და მრავალი ქვეყნის ფსიქოლოგთა საზოგადოების წევრი. იყო ფსიქოლოგთა სამი საერთაშორისო კონგრესის და ფსიქოლოგთა მრავალი საკავშირო ყრილობის სიმპოზიუმების თავმჯდომარე. იგი 11 მონოგრაფიული შრომისა და 120 შრომის ავტორია.

შოთა ნადირაშვილი მონაწილეობას იღებდა საქართველოს სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებაში. გახლდათ სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე. ამჟამად არის გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი.



## თამაზ დიასამიძე

დაიბადა 1960 წლის 3 ივლისს შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. დაამთავრა ხულოს სკოლა-ინტერნატი; შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-გერმანისტიკის ფაკულტეტზე. გაიარა ასპირანტურის კურსი. მუშაობდა ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. იყო სახალხო ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბათუმში. 1990 წლიდან რესპუბლიკური პარტიის წევრი. 1990 წელს საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩეულ იქნა ბათუმის მაჟორიტარული ოლქიდან. იყო ოპოზიციური ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის“ წევრი. 1991 წელს არჩეულ იქნა აჭარის უზენაესი საბჭოს წევრად, არის ოპოზიციური ფრაქცია „აჭარის“ თავმჯდომარე.

1992 წელს იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი. გაერთიანებულ რესპუბლიკური პარტიის დაფუძნებიდან იყო გრპ-ის პოლიტიკური საბჭოს წევრი. ამჟამად გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრია.

1992 წლიდან არის საქ. პარლამენტის წევრი (ფრაქცია „რესპუბლიკელები“).

## ოთარ ზოიძე

დაიბადა 1964 წლის 2 თებერვალს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ შარაბიძეებში. მამა — ნოდარ ზოიძე გლეხია, დედა — მადლენა ზოიძე-ვაშალომიძე — დიასახლისი. 1981 წელს წარჩინებით (ოქროს მედლით) დაამთავრა ხელვაჩაურის საშუალო სკოლა. 1981-83 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის კოლმეურნეობაში რიგით წევრად. 1983 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1988 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1988—91 წლებში იმავე უნივერსიტეტში წარჩინებით გაიარა ასპირანტურის კურსი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის სპეციალობით. 1991—95 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ეროვნული ტრადიციების ცენტრში, ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელ ლაბორატორიაში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ქართული სამართლის საკითხებზე.

1990—91 წლებში იყო საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი. 1991 წლიდან — საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი. 1991 წლის ივნისში აირჩიეს აჭარის უზენაესი საბჭოს წევრად, იგი გახლავთ ოპოზიციური ფრაქცია „აჭარის“ თავმჯდომარის მოადგილე. იყო ხელვაჩაურის სახალხო ფრონტის გაზეთ „მაჭახელას“ რედკოლეგიის წევრი, შემდეგ რედაქტორი. მისი რედაქტორობისას გაზეთი აჭარის ხელისუფლების მითითებით სასამართლომ დახურა. იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი გაზეთის „საქართველოს კარიბჭე“, რომელიც აგრეთვე დაიხურა.

ამჟამად ო. ზოიძე გახლავთ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წამყვანი სპეციალისტი.

უცოლშვილოა.



# გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი

## ნოდარ ნათაძე

დაიბადა 1929 წელს ქ. თბილისში. მამა — ფსიქოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი რევაზ ნათაძე, დედა — თინათინ სიმონის ასული ნათაძე, სპეციალობით ეკონომისტი. ბაბუა და ბაბუის ძმა იყვნენ 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრები.

1947 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ (1952 წ.) — ასპირანტურაში, მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ენათმეცნიერებაში, 1965 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოლოგიაში.

ეწეოდა კვლევით მუშაობას ფილოლოგიაში (რუსთველოლოგიის ჩათვლით), ფილოსოფიაში, ხელმძღვანელობს ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიური მემკვიდრეობის განყოფილებას. გამოცემული აქვს მრავალი მეცნიერული შრომა, თარგმანები, პუბლიცისტური წერილები.

1989 წლის ივნისში სახალხო ფრონტის I ყრილობაზე არჩეულ იქნა სსფ-ის თავმჯდომარედ.

1994 წლის 13 ივნისიდან სახალხო ფრონტის, რესპუბლიკური პარტიისა და „ქარტია 91"-ის გაერთიანების შემდეგ არჩეულია გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს თანათავმჯდომარედ.

1994 წლის 23 ოქტომბრიდან — გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრად, დარბაზის ხელმძღვანელად, 1995 წელს არჩეულ იქნა გრპ-ის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ.

ჰყავს ცოლი და ორი ვაჟი.

## ფრიდონ საყვარელიძე

დაიბადა 1954 წლის 3 სექტემბერს ქ. თბილისში.

1971 წელს დაამთავრა ქ. თბილისის I საშ. სკოლა წარჩინების სიგელით, ხოლო 1978 წელს — სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი სპეციალობით „სამკურნალო საქმე".

1978 წლიდან მუშაობდა ქ. ფოთში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მორიგე ექიმად; №2 პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტად, წყლოსანთა საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმ-თერაპევტად, 1981-83 წლებში მუშაობდა ქ. მოსკოვის კლინიკებში.

1983 წლიდან კვლავ ბრუნდება ქ.ფოთში. ჯერ მუშაობს №1 პოლიკლინიკის კარდიოლოგიური განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ ქალაქის მთავარ კარდიოლოგად.

1987 წლიდან მუშაობს ქ. თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპია-კარდიოლოგიის კათედრის ასისტენტად. აქვე აგრძელებს მუშაობას საკანდიდატო დისერტაციის კლინიკურ ნაწილზე. დაიცვა დისერტაცია 1988 წელს და მიენიჭა მედიცინის მეც. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს 6 სამეცნიერო შრომა, არის ერთი მონოგრაფიის თანაავტორი.

1989 წლის მაისში გახლდათ საზოგადოებრივი ორგანიზაციის დასის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი გამგეობის წევრი. ხოლო დს-ის პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შემდეგ იყო მისი პოლიტიკური საბჭოს წევრი.

1989—90 წლებში იყო სახალხო ფრონტის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1989 წელს ა.ბაქრაძის წინასაარჩევნო კამპანიაში.

1992 წლის თებერვალში არჩეულ იყო პარტიათა საკონსულტაციო საბჭოს აღმასკომის წევრად. 1992 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრად.

1992 წლის შემოდგომიდან დასისა და რესპ. პარტიის გაერთიანების შემდეგ არის რესპუბლიკური პარტიის წევრი, მისი ეროვნული კომიტეტის წევრი.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში კენჭი იყარა ბლოკ „11 ოქტომბრის" სიით და გახდა პარლამენტის წევრი.

იგი პარლამენტის თავდაცვის კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარე, საგარეო კომისიის წევრი, ფრაქცია „რესპუბლიკელების" წევრია.

1994 წელს სამი პოლიტიკური ორგანიზაციის გაერთიანების შემდეგ არჩეულია ყრილობის მიერ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ერ. კომიტეტის წევრად, არის დარბაზის წევრი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ბესარიონ ფაჩუაშვილი

დაიბადა 1955 წლის 18 სექტემბერს ქ. თბილისში. დედა ირინე ლეჟავა — მათემატიკოსია, პედაგოგად მუშაობდა 40 წლის მანძილზე თბილისის 24-ე საშ. სკოლაში, მამა — ამირან ფაჩუაშვილი საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

1962 წელს შევიდა ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში, რომელიც ოქროს მედლით დაამთავრა 1972 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს, მათემატიკოსის სპეციალობით.

1977 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა.რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1981 წელს დაიწყო მუშაობა ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად.

1983 წლის თებერვალში დაოჯახდა. მეუღლე — მაია მიქაძე ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებიდან დღემდე მუშაობს თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ჰყავთ ქალ-ვაჟი, ორივე 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა.

1983 წლის მაისში ლენინგრადის მათემატიკის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია ფიზ. მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. კითხულობდა სპეციკურსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სისტემატურად აკეთებდა მოხსენებებს საერთაშორისო მათემატიკურ კონფერენციებზე.

1992 წლის თებერვლიდან იყო პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია 91"-ის დამფუძნებელი წევრი. 1992 წლის სექტემბერში აირჩიეს „ქარტია-91"-ის გამგეობის წევრად.

1992 წლის ოქტომბერში კენჭს იყრიდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში „ქარტია 91"-ის პარტიული სიებით №8 (სამეგრელოს) მრავალმანდატიან ოლქში.

1993 წლის იანვრიდან ადგილმონაცვლეობის წესით გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი. 1994 წლის მარტიდან არჩეულია საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ. არის საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების" წევრი.

1994 წლის ივნისიდან არის სამი პარტიის გაერთიანების შედეგად შექმნილი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი. 1994 წლის ოქტომბერში აირჩიეს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრად. 1995 წლის ივლისიდან არჩეულია გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრად. არის გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.



## ვახტანგ ხმალაძე

დაიბადა 1947 წელს ქ. თბილისში. მამა — იულონ ხმალაძე, ეკონომისტი, მონაწილე იყო 1921 წელს რუსეთთან, შემდეგ კი გენერალ მახნაშვილის რაზმში თურქეთთან ომისა. 1924 წლის აჯანყების შემდეგ მისი ოჯახი იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური სოფელი. დედა — თამარ თუმანიშვილი, ექიმი-სტომატოლოგი, რეპრესირებული იყო 1937 წელს, როგორც „ხალხის მტრის ოჯახის წევრი" (მამამისი, რომელიც დახვრიტეს 1937 წელს, ადვოკატად მუშაობდა ბათუმში).

ვ. ხმალაძემ 1964 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 39-ე საშუალო სკოლა, 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი თეორიული ფიზიკის სპეციალობით, ხოლო 1972 წელს — ასპირანტურა, 1975 წელს მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1973 წლიდან 1993 წლამდე მუშაობდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი არაერთი საერთაშორისო სკოლისა, კითხულობდა ლექციებს ფიზიკის ფაკულტეტზე. რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თსუ ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელ სკოლას და საშეფო სამუშაოებს სამცხე-ჯავახეთისა და საინგილოს სკოლებში.

ვ.ხმალაძემ აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო 1989 წლიდან. 1989 წლის მაისში მისი მონაწილეობით დაფუძნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დს"-ი, რომელიც 1990 წელს გარდაიქმნა პოლიტიკურ ორგანიზაციად („დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის"). 1992 წლის დეკემბერში „დს"-ისა და რესპუბლიკური პარტიის გაერთიანებამდე იყო „დს"-ის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კი — რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, ხოლო 1995 წელს რესპუბლიკური პარტიის, სახალხო ფრონტისა და „ქარტია-91"-ის გაერთიანების შემდეგ აირჩიეს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრად.

1991 წლის თებერვლიდან 1992 წლის ივნისამდე იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. 1992 წელს იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1992 წლის ოქტომბერში აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად საარჩევნო ბლოკიდან „11 ოქტომბერი" (სახალხო ფრონტი, „დს"-ი, რესპუბლიკური პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) №3 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში. 1992 წლიდან არის ყველაზე დიდი ოპოზიციური ფრაქციის „რესპუბლიკელების" თავმჯდომარე. 1993 წლის თებერვალში აირჩიეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

ვ. ხმალაძემ 1989 წლიდან დაიწყო იურისპრუდენციის შესწავლა და უშუალოდ მის მიერ და მისი თანაავტორობით შეიქმნა არაერთი კანონპროექტი, რომელთა ნაწილიც მიღებულ იქნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის მიერ. ამ კანონპროექტთაგან უმნიშვნელოვანესია 1992 წლის ოქტომბერში მიღებული შესწორებები საქართველოს სსრ კონსტიტუციაში და კანონი „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ", რომლებითაც შეიქმნა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის მექანიზმები და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საფუძვლები (სამწუხაროდ, ეს არჩევნები, რომელიც 1990 წლის მარტში უნდა ჩატარებულიყო, არ ჩატარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთის მიერ მისი ბოიკოტირების მოწოდების გამო); 1990 წლის დასაწყისში კომუნისტური უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებითაც აღიარებულ იქნა 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია და ბათილად იქნა ცნობილი ოკუპაციის შედეგად მოსული ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, რითაც სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას; 1990 წლის აგვისტოში მიღებული კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ; 1991 წელს მიღებული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ"; „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულება" (1992 წ.), კანონი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" (1995 წ.); კანონპროექტები „განათლების შესახებ", „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" (1992 წ.), „მინისტრთა კაბინეტის შესახებ" (1994 წ.) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ.ხმალაძის წვლილი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების პროცესში. იგი თანაავტორია რესპუბლიკური პარტიის მიერ საკონსტიტუციო კომისიისთვის წარდგენილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტისა, რომლის დიდი ნაწილიც აისახა მიღებულ კონსტიტუციაში და რომლის საბოლოო სახე მნიშვნელოვნად განაპირობა საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების" პოზიციამ.

ვ.ხმალაძეს ჰყავს მეუღლე [illegible] ანანა მაჩხანელი, ივ. ჯავახიშვილ[illegible] სახ. თბილისის სახელმწიფო [illegible] ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და ქალ-ვაჟი, [illegible] წლის ნინო და 12 წლის ირაკლი.

## ვახტანგ ძაბირაძე

დაბადებულია 1953 წლის 6 თებერვალს, ზესტაფონის რაიონის სოფ. ტაბაკანში. ცოლშვილიანია — მეუღლე ნანა ახუაშვილი, შვილი ალექსანდრე ძაბირაძე.

1970 წელს დაამთავრა თბილისის კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი, ხოლო 1977 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. 1977-80 წლებში განაწილებით მუშაობდა ქ. მარნეულში, 1980—83 წლებში თბილისის ტელევიზორების ქარხანაში, 1983 წლიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახ.კლუბში სამხატვრო ხელმძღვანელად.

1978 წელს თანამოაზრეებთან ერთად არალეგალურად ჩამოაყალიბა საქართველოს რესპუბლიკური პარტია. 1979 წელს არჩეული იქნა პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ პოსტზე მუშაობდა 1994 წლამდე. 1979 წლიდან რესპუბლიკურმა პარტიამ დაიწყო არალეგალური ჟურნალის „სამრეკლოს" გამოშვება, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური თანამშრომელიც იყო. 1984 წლის იანვარში ხელისუფლების მიერ რეპრესირებულ იქნა რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა. იმავე წელს ანტისაბჭოური, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის, რაც გამოიხატა არალეგალური პარტიის შექმნასა და ჟურნალ „სამრეკლოში" გამოქვეყნებულ წერილებში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71 მუხლის შესაბამისად მიესაჯა 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელს იხდიდა პერმის №36 პოლიტპატიმართა საკონცენტრაციო ბანაკში. 1987 წლის ივლისში მოიხადა სასჯელი და დაბრუნდა საქართველოში. 1988 წლიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო ი.ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი. 1992 წელს საქ. პოლიტიკურ პარტიათა საკორდინაციო ცენტრის მიერ არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში, ხოლო იმავე წელს ოქტომბერში საქართველოს პარლამენტში №6 საარჩევნო ოლქიდან. 1994 წლიდან იყო გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თანათავმჯდომარე, შემდეგ პარტიის პოლიტიკური საბჭოს მდივანი ორგანიზაციულ დარგში, ალმასრულებელი მდივანი. 1995 წელს პარტიის ყრილობის მიერ კვლავ იქნა არჩეული ეროვნული კომიტეტის წევრად. არის ფრაქცია „რესპუბლიკელების" წევრი.



# ჯ. ბარონი
# სუკ-ი

## საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

(გაგრძელება დას №26,27,28,29)

**საბჭოთა** კავშირი, რომელიც სოლიდარული იყო ლენინის მითითებებისა იმის შესახებ, რომ ყველაფერი, რაც ემსახურება კომუნიზმის მოახლოებას, არის ზნეობრივი. კლავდა და იპარავდა უცხოელებს ჯერ კიდევ 1926 წლიდან მოყოლებული, როცა სტალინი მთლიანად გამაგრდა თავის ძალაუფლებაში. ამ წელს გაერთიანებული მთავარი პოლიტ-სამმართველოს აგენტებმა პარიზში დაცხრილეს უკრაინელი ლიდერი სემიონ პეტლიურე. დღისით, მზით მოსკოვის ქუჩაზე მოიტაცეს ესტონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ადო ბერკი, მიუხედავად მისი დიპლომატიური ხელშეუხებლობისა. მის შესახებ მეტად არსად არავის სმენია. 1930 წლის 26 იანვარს მთავარმა პოლიტსამმართველომ პარიზში ხელში ჩაიგდო თეთრგვარდიელთა ლიდერი ალექსანდრე კუტეპოვი, ხოლო 1932 წლის 22 მაისს ჰამბურში დახვრიტა ყოფილი კომუნისტური კურიერი ჰანს ვასენგირი. ასევე ანადგურებდნენ საბჭოთა დაზვერვის თანამშრომლებს, რომლებიც თავს დაიტეხდნენ თავისი უფროსების რისხვას. 1934 წელს ნიუ-იორკში მოკლულ იქნა ვალენტინ მარკონი — შეერთებულ შტატებში გაერთიანებული მთავარი პოლიტსამმართველოს მეთაური, ხოლო ორი წლის შემდეგ მაკაოში იგივე ბედი ჰქონდა წილად მთავარი პოლიტსამმართველოს აგენტს ჟანა კრემეტს.

იმისათვის, რომ ტერორისტული საქმიანობა ეწარმოებინა მეტი ეფექტურობით და უფრო ფართო მასშტაბით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1936 წელს შექმნა განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველო, რომელსაც რუსებმა დროთა განმავლობაში შეარქვეს „სველი საქმეების“ განყოფილება. თავიდან სამმართველო თავის საქმიანობის კონცენტრაციას ახდენდა მეამბოხე უცხოელი კომუნისტების ლიკვიდაციაზე, როგორებიც იყვნენ ტროცკისტები და თვით ტროცკი. 1937 წლის მსხვერპლთა შორის იყვნენ: დიმიტრი ნავაშინი, მოკლული პარიზში; ჟიულ სტიუარტ პოინტი, რომელიც გაქრა ნიუ-იორკში; იგნას რეისი, მოკლული ლოზანაში; პარიზში გატაცებული ევგენი მილერი; ესპანეთში მოკლულები — ანრი მულენი, კურტ ლანდაუ, კამილო ბერნარი და ანდრე ნინი. სრულიად შესაძლებელია, რომ იგივე განყოფილება იყო პასუხისმგებელი ეოზე რობლეს, მარკ რეინის, ერვილა ვოლთვის და ჰანს ფრონდის გაქრობაზე იმავე წელს ესპანეთში. 1938 წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტებმა ბელგიაში გაიტაცეს და მოკლეს �orგი არუტიუნოვი — გაერთიანებული მთავარი პოლიტსამმართველოს ყოფილი თანამშრომელი, მათივე მეშვეობით აფეთქდა როტერდამში უკრაინელების ლიდერი ივან კონოვალენკი. თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათ მოკლეს პარიზში ტროცკის ვაჟის (ლეონ სედოვის) თანამებრძოლი რუდოლფო კლემენტი. 1938 წლის 16 ივლისს კლემენტის თავმოჭრილი გვამი აღმოჩენილ იქნა სენაში.

შესაძლებელია, რომ განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველომ მოკლა თვით სედოვიც, რომელსაც 1938 წელს გაუკეთდა ოპერაცია კუჭის არეში პარიზის ერთ პატარა კლინიკაში, რომლის პერსონალს მთლიანად რუსული ემიგრაცია შეადგენდა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ავადმყოფი სწრაფად უმჯობესდებოდა. მაგრამ ოპერაციიდან მეხუთე დღეს სედოვი ნახეს შიშველი, უზარმაზარი დალილავებული ადგილით მუცლის არეში, დაეხეტებოდა დერეფნებში და ბოდავდა. სამი დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა. გამოძიებამ ისე, რომ ჩალურჯებული ადგილის წარმოშობის მიზეზი ახსნის გარეშე დატოვა, დაადგინა, რომ სიკვდილი გამოიწვია ოპერაციის შემდგომმა გართულებებმა. 18 წლის გასვლის შემდეგ მარკ ზბოროვსკიმ, რომელიც სედოვის უახლოესი მეგობარი იყო. აღიარა, რომ იგი იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტი, რომელსაც ჰქონდა დავალებული ეთვალთვალა ტროცკის შვილისათვის. სწორედ ზბოროვსკიმ წაიყვანა სედოვი კლინიკაში.

1940 წლის 24 მაისს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 20-კაციანი რაზმი, ავტომატებით შეიარაღებული, და განცხადებული მხატვარ დავიდ ალფარო სიკეიროსის მიერ, თავს დაესხა ლევ ტროცკის ვილას მეხიკოში. ტროცკი უვნებელი გადარჩა, მიუხედავად 200-ზე მეტი გასროლისა მისი საძინებელი ოთახის მიმართულებით, თუმცა თავდამსხმელებმა თანა წაიყვანეს და მოგვიანებით მოკლეს ერთ-ერთი მისი მცველთაგანი — ამერიკელი რობერტ შელდონ ჰარტი. ტროცკის სტუდენტებიდან ზოგი ვარაუდობდა, რომ ჰარტი იყო ერთ-ერთი შეთქმულთაგანი, რომელიც მონაწილეობდა თავდასხმაში, და რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უნდოდა იძულებით დაედუმებინა იგი. 1940 წლის 20 აგვისტოს, თითქმის სამი თვის შემდეგ, სალამო ხანს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტი რამონ მერკადერი, ცნობილი ჟაკ მორნარდის სახელითაც, რომელსაც ტროცკის ნდობა ჰქონდა მოპოვებული, შეჰყვა მას კაბინეტში. დაცვამ გაიგონა ‘ყვირილის, ხმაურის, ბრძოლის ხმები, და კაბინეტიდან ბარბაცით გამოვიდა თავიდან ფეხამდე დასისხლიანებული ტროცკი, სახიკვდილოდ დაჭრილი თავში, რომელიც მიყენებული ჰქონდა ყინულმჭრელი ნაჯახის დარტყმით. 1960 წელს, პატიმრობის საკმაოდ კომფორტაბელურ პირობებში მოხდის შემდეგ, მერკადერი გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიაში.

საბჭოთა კავშირში ნაციზტური შეჭრის შემდეგ, 1941 წელს განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველო გადაიზარდა მეოთხე ანუ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პარტიზანულ სამმართველოში, რომელიც ხელმძღვანელობდა შპიონაჟს, საბოტაჟს, მკვლელობებს და პარტიზანულ ოპერაციებს გერმანელთა ზურგში. მისი ხელმძღვანელი იყო პავლე ანატოლის-ძე სუდოპლატოვი, მშვიდი, განსაკუთრებით ინტელიგენტური ადამიანი, საშუალო ტანის, რომლის სახეზეც თვალში გეცემოდათ დიდრონი თმილი თვალები. იგი ისეთი ოსტატობით ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს, რომ მას დაევალა ნომერ პირველ სპეციბიუროს ხელმძღვანელობა, რომელიც 1946 წლის 1 იანვარს შეიქმნა საბოტაჟისა და მკვლელობების მოსახდენად მშვიდობიან დროს.

სუდოპლატოვის უფროსობით სპეციბიურომ განავითარა საგანგებო ქსელები გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში. ისინი აწვდიდნენ ინფორმაციას, ეწეოდნენ დაკვირვებას და ატარებდნენ სხვა ღონისძიებებს, რომლებიც საჭირო იყო მოტაცებებისა და მკვლელობების. ოპერაციათა შესასრულებლად. ჩვეულებრივად მოტაცებები სრულდებოდა ხულიგნების მიერ, რომლებსაც რუსები უწოდებდნენ „მებრძოლ ‘ჯგუფს“. მათი მსხვერპლი უმთავრესად იყვნენ მოქმედი ანტიკომუნისტები და ემიგრანტული ორგანიზაციების ლიდერები. ერთ-ერთმა ბანდამ 1947 წლის იანვარში ავსტრიიდან მოიტაცა კარლ ფიშერი, ხოლო მომდევნო წლის სექტემბერში გაქრა გიორგი ტრეგუბოვი, რომელიც აღმოსავლეთ ბერლინში შეიტყუა საბჭოთა აგენტმა — ქალმა ელიზაბეტ კლეიჩეკლიამ. ვენის პოლიციის მთავარი ინსპექტორი დაიკარგა 1948 წელს, ხოლო 1949 წელს გაქრა ბერლინის აღმოსავლეთ სექტორის პოლიციის შეფი.

სპეციბიუროს კმაყოფაზე იმყოფებოდა, აგრეთვე, კამერა-ლაბორატორია, რომელიც ატარებდა ექსპერიმენტებს ადამიანის გასანადგურებლად ყველაზე საუკეთესო საშუალებების შექმნის მიზნით, რომელთა აღმოჩენა შეუძლებელი იქნებოდა. კამერა სპეციალიზირდებოდა შხამების ‘ბაზაზე, რომელთა გასაუნებლად არ იყო ცნობილი შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებები, მოწყობილობათა შექმნაზე, რომლებიც კლავდა ისე, რომ ჩანდა, თითქოს სიკვდილი ბუნებრივი მიზეზის შედეგი იყო. 1953 წელს, გეგმავდა რა თავდასხმას სუდოპლატოვზე, მისმა მოადგილემ პოლკოვნიკმა ლევ ალექსანდრეს-ძე სტუდნიკოვმა, შენიშნა: „ბიჭები მეთორმეტედან (კამერა) ამბობენ, რომ თვითონვე ეშინიათ ლაბორატორიაში სიარულის. მე მესმის მათი. შემზარავია. თქვენ შეეხეთ რაიმეს შემთხვევით — და აი, მოვიდა თქვენი დაკრძალვის დღეც“.

თვით პარტიის სათავეში მდგომთა შორისაც კი სპეციბიუროს იმდენად ცუდი სახელი დაიმკიდრა, რომ 1953 წელს ივნისში, ხელისუფლებაში ხრუშჩოვისა და მისი თანამებრძოლების მოსვლის შემდეგ, იგი სასწრაფოდ იქნა ლიკვიდირებული, და კამერა დაიხურა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შვიდი თანამშრომელი გამოცხადდა გენერალ სუდოპლატოვის კაბინეტთან: ოთხი დადგა შესასვლელთან, ხოლო სამი შევიდა შიგ. „გენერალო სუდოპლატოვ, აი, თქვენ წერილი“, — უთხრა ერთ-ერთმა შესულთაგან და გაუწოდა კონვერტი. იმ დროს, როცა გენერალმა გაიწვდინა ხელი წერილის გასახსნელად, დანარჩენი ორი ოფიცერი ეცა ხელებში სუდოპლატოვს და გადაუგრიხა ზურგს უკან. შემდეგ იგი წაათრიეს ვლადიმირის ციხეში.

მოღალატე ოფიცრების მონათხრობის მიხედვით, სპეციბიუროს ლიკვიდაცია დროებითი იყო. როგორც კი ხრუშჩოვმა და მისმა მეკავშირეებმა დაიწყეს თავისი ხელისუფლების განხორციელება, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არ შეუძლიათ მართონ ქვეყანა ამგვარი ორგანიზაციის გარეშე. და ამიტომ, 1953 წლის სექტემბერში, ლიკვიდაციიდან სამ თვეში, ორგანიზაცია გარდაიქმნა პირველი მთავარი სამმართველოს „ცხრე განყოფილებად. მომდევნო წელს კი, როცა შეიქმნა სუკ-ი, იგი ჩამოყალიბდა პირველი მთავარი სამმართველოს მე-13 განყოფილებად.

გაგრძელება იქნება

**გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომერში ვწერდი, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატებმა აუცილებელია წარადგინონ საარჩევნო კომისიებში ცნობა იმის შესახებ, რომ არ არიან სუკის აგენტები. ეს აზრი არც მე და არც იმ პირებს, ვინც იგივეს ამბობს, მხოლოდ იმის გამო არ გაგვჩენია, რომ ვინმე დავამუნათოთ ან კანდიდატთა „გამოხშირვაზე“ ვიფიქროთ. მიზეზი უფრო ღრმა და სერიოზული გახლავთ. სსრკ-ს კაგებეს (რომლის მემკვიდრე დღეს რუსეთის შესაბამისი უწყებაა) აგენტურული ქსელი ჰყავდა და ჰყავს მთელს მსოფლიოში. ანუ უდიდეს სახელმწიფოებშიც კი პოლიტიკური პროცესები ხშირად მათი მოწინააღმდეგე სსრკ-ს გეგმით და სცენარით იმართებოდა, რაც, ბუნებრივია, აშფოთებდა ამ დიდ სახელმწიფოებს. ერთადერთნი ჩვენ ვართ, უცხო ქვეყნის აგენტურაზე ლაპარაკი რუსოფობიად რომ მოვნათლეთ. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველი უნდა ჩაფიქროს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილმა იმ პუბლიკაციებმა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ და რომელშიც, სხვათაშორის, საქართველოში არსებული აგენტურული ქსელის პრობლემებიც არის მოხსენიებული.**

**ნ. გრიგალაშვილი**

**ბატონი ნოდარ ნათაძე და რესპუბლიკური პარტიის სხვა წევრები ხშირად ამახვილებენ საზოგადოების ყურადღებას KГБ-ს როლზე საქართველოს უახლესი ისტორიის ფორმირებაში, რაც მავანთა ირონიულ ღიმილსა და რუსოფობიაში მათ დადანაშაულებას იწვევს, არადა...**

დიდი ბრიტანეთის წიგნის ბაზარზე გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა KГБ-ს ყოფილი პოლკოვნიკის ოლეგ გორდიევსკის მოგონებათა წიგნი „გადარჩენა ან სიკვდილი“ (გამომცემლობა Mc Millan, ფასი 17£).

ბრიტანეთის საზოგადოება სულმოუთქმელად ელოდა „თაიმს“-ის ყოველკვირეული დამატების „სანდი თაიმს“-ის მორიგ ნომერს, რომელმაც შეიძინა ექსკლუზიური უფლება დაებეჭდა ყველაზე უფრო სენსაციური ნაწყვეტები აღნიშნული ავტობიოგრაფიული ნაშრომიდან.

სამი თვის განმავლობაში ქვეყანა შოკირებული იყო გორდიევსკის მიერ გამქღავნებული საიდუმლო დოკუმენტებით, რომლებიც უტყუარად ადასტურებდნენ KГБ-ს აქტიურ მონაწილეობას დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მართლაცდა საოცარია დაიჯერო, რომ რიგი გახმაურებული პოლიტიკური სკანდალის, ბრიტანეთის ეკონომიკის დამანგრეველი გაფიცვების, ოპოზიციურ პარტიათა ლიდერების, თემთა თუ ლორდთა პალატის წევრების, ტრედუნიონისტური მოძრაობის ლიდერებისა და პარლამენტის წევრების ზურგს უკან ძლევამოსილი KГБ იდგა და უხილავი ძაფებით მართავდა მოვლენებს.

დაქირავებულ აგენტთა და ყოფილ ინფორმატორთა რიცხვში, რომელთა პორტრეტები „სანდი თაიმს“-ის მოწინავე გვერდებიდან შეჰყურებდნენ გაოგნებულ და დაბნეულ მკითხველებს, დასახელებულნი იყვნენ დიდი ბრიტანეთის ისეთი გავლენიანი და ავტორიტეტული ფიგურები, როგორებიც არიან: ლეიბორისტული პარტიის ყოფილი ლიდერი მაიკლ ფუტი, პარლამენტის წევრები რონ ბრაუნი და ლორდი ბროკუეი, ტრანსპორტის მუშაკთა და მშრომელთა პროფკავშირული გაერთიანების გენერალური მდივანი ჯეკ ჯონსი, ლეიბორისტული პარტიის ყოფილი თავმჯდომარე იან მიკარდო, ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების გენერალური მდივანი ბობ ედვარდსი, მეზღვაურთა და დოკერთა ეროვნული ასოციაციის გენერალური მდივანი ჯიმ სტეიტერი, ASLEF-ის და და NATSOPA-ს გენერალური მდივნები რეი ბაქტონი და ლორდი ბრიგინშოუ, ლონდონის ეკონომიკური სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი ფრედ ჰოლიდეი და მრავალი სხვა, რომლებიც ფასდაუდებელი ინფორმაციით ამარაგებდნენ KГБ-ს ლონდონის ცენტრს.

ოლეგ გორდიევსკის აღიარებით KГБ-ს ლონდონის „გუნდი“ გამოცდილი და ენერგიული მუშაკებით იყო დაკომპლექტებული. მათი უმრავლესობა დიდ ბრიტანეთში ჟურნალისტურ საფარქვეშ მოქმედებდა: პოლკოვნიკი მიხეილ ლიუბიმოვი საბჭოთა საელჩოს პრეს-ატაშე გახლდათ 1961-1965 წლებში, პოლკოვნიკი იური კობალაძე რადიოსა და ტელევიზიის საკუთარ კორესპონდენტად მუშაობდა ლონდონში 1977-1985 წლებში, პოდპოლკოვნიკები ოლეგ ცარიოვი და მიხეილ ბოგდანოვი გაზეთ „სოციალისტური ინდუსტრიის“ კორესპონდენტები იყვნენ, ხოლო პოლკოვნიკი ვიქტორ კუბეიკინი საბჭოთა საელჩოს მეორე მდივნად მუშაობდა.

ბატონი ნოდარ ნათაძე და გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სხვა წევრები ხშირად ამახვილებენ საზოგადოების ყურადღებას KГБ-ს როლზე საქართველოს უახლესი ისტორიის ფორმირებაში, რაც მავანთა ირონიულ ღიმილსა და რუსოფობიაში მათ დადანაშაულებას იწვევს.

სწორედ ასეთ „ურწმუნო თომათა“ საყურადღებოდ გვსურს გაგაცნოთ ბრიტანეთის პრესის ფლაგმანის, გაზეთ „სანდი თაიმს“-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების ნაწილი იმის დასტურად, რომ თუკი KГБ-მ თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ბრიტანეთში შეძლო უმაღლეს თანამდებობრივ პირთა და ინტელექტუალთა გადაბირება და თავის სამსახურში ჩაყენება, მითუმეტეს არ გაუჭირდებოდა ეს დღევანდელ საქართველოში, სადაც ერთნაირად ადვილად ჭრის მუქარაც, დაყვავებაც და ვერცხლიც.

დღეს ვაქვეყნებთ გაზეთის მე-7-ე და მე-8 გვერდზე ორ სტატიას აღნიშნული სერიიდან.

# საბჭოთა „ჟურნალისტები“ და მათი მარიონეტები

KГБ-ს ლონდონის გუნდში მოღვაწე ოფიცერთა უმრავლესობა ჟურნალისტურ საფარქვეშ მოქმედებდა: პოლკოვნიკი იური კობალაძე საბჭოთა რადიოსა და ტელევიზიის საკუთარ კორესპონდენტად მუშაობდა (1977-1985), პოდპოლკოვნიკი იური ცარიოვი და მიხეილ ბოგდანოვი გაზეთ „სოციალისტური ინდუსტრიის“ კორესპოდენტებად ითვლებოდნენ. მათ მუშაობას კი საელჩოს მეორე მდივანი პოლკოვნიკი ვიქტორ კუბეიკინი უწევდა კოორდინაციას.

KГБ–ს პრინციპულ ინტერესს დიდ ბრიტანეთში ის ადამიანები წარმოადგენდნენ, რომლებიც საიდუმლო ინფორმაციას ფლობდნენ ან მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სამხედრო ინფორმაციის მოპოვება ხელეწიფებოდათ. იასენევოს საიდუმლო არქივში KГБ-სთვის საინტერესო ბრიტანული მოქალაქე მოხსენებული იყო როგორც „პოტენციური სამიზნე“, რომელთა გადმობირების შემდეგ ისინი იღებდნენ „აგენტის“, „კონფიდენციალური კონტაქტის“ ან „გავლენიანი აგენტის“ სახელწოდებას.

„აგენტად“ იწოდებოდნენ ის პირნი, რომლებიც საბჭოეთისათვის საინტერესო ინფორმაციას ფლობდნენ, ამ ინფორმაციის გადმოცემისათვის სათანადო გასამრჯელოს იღებდნენ, იცოდნენ, რომ KГБ-ზე მუშაობდნენ და მათთან კონტაქტი საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში სპეციალური შიფრების გამოყენებით ხდებოდა.

„გავლენიანი აგენტები“ პირიქით, არ ფლობდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, მაგრამ საზოგადოებაში სარგებლობდნენ დიდი ავტორიტეტითა და გავლენით და ხელს უწყობდნენ კრემლისათვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

„კონფიდენციალური კონტაქტის“ გრიფით კი პოლიტიკურ პარტიათა და სამხედრო უწყებათა მნიშვნელოვან ხელმძღვანელ პოსტებზე მომუშავე პირნი იყვნენ აღნიშნულნი.

ზოგიერთ მათგანს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ საბჭოთა საელჩოს პრეს-ატაშე თუ ნაცნობი ჟურნალისტი, რომელიც მეგობრულად პატიჟებდა და რომელთანაც გულგახსნილად საუბრობდა, სინამდვილეში KГБ-ს ოფიცერი იყო და საუბრის დამთავრებისთანავე მიღებულ ინფორმაციას



ცენტრს გადასცემდა.

„პოლიტიკურ წრეებში ჩემი წარდგენისას ბრიტანელი მეგობრები ხუმრობით KГБ-ს პოლკოვნიკად მომიხსენიებდნენ“ — იგონებს ვიქტორ კუბეიკინი, — „რაზეც ღიმილით ვპასუხობდი, რომ ასეთი მაღალი თანამდებობისათვის ჯერ ახალგაზრდა ვიყავი და მხოლოდ პოდპოლკოვნიკის ჩინი მქონდა“. ასეთი პასუხი ჩემს ბრიტანელ მეგობრებს ძალზე ამხიარულებდა, თუმცა ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ჭეშმარიტებას ვამბობდი“.

ვიქტორ კუბეიკინი განსაკუთრებით დაუახლოვდა ბრიტანეთის ტრედუნიონისტული მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს რაიმონდ ბაქტონს, რომელიც 1970—1987 წლებში სათავეში ედგა ASLEF-ს (Associated Society of lokomotive engineers a faremart, ლოკომოტივის მემანქანეთა და მეხანძრეთა პროფკავშირულ გაერთიანებას) — ყველაზე უფრო გავლენიან და მრავალრიცხოვან ორგანიზაციას.

„ბარტოკის“ ფსევდონიმით ცნობილი ეს პოლიტიკური მოღვაწე იყო ინიციატორი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი მემანქანეთა, დოკერთა და მეზღვაურთა ცნობილი გაფიცვისა, რომელმაც მთავრობის კრიზისი და 1970 წლის არჩევნებში მისი მარცხი განაპირობა.

დოკერთა და მეზღვაურთა პროფკავშირული გაერთიანების გენერალური მდივანი ჯიმ სლეიტერიც ვიქტორ კუბეიკინის ახლო მეგობრად ითვლებოდა. პროფკავშირული მოძრაობის ბოსები მეუღლეებთან ერთად KГБ-ს ხარჯზე ხშირად ისვენებდნენ სოჭსა და ბიჭვინთაში ჯერ კიდევ სტალინის დროს აშენებულ და კომპარტიის ლიდერთათვის განკუთვნილ თვალწარმტაც ვილებში.

„კონფიდენციალურ კონტაქტთა“ შორის ყველაზე უფრო ფასეულ ფიგურას ლეიბორისტული პარტიის ვეტერანი ლორდი ბროკუეი წარმოადგენდა. ფენერ ბროკუეი ჯერ კიდევ 1929—1931 წლებში იყო პარლამენტის წევრი. 90 წელს მიღწეული ლორდის აზრს და გამოთქმულ მოსაზრებებს დიდი გავლენა ჰქონდა ვესტმინსტერსა და მთავრობაში. მიხეილ ბოგდანოვის მიერ გადმობირებული მოხუცი ლორდი არ თაკილობდა რუსი მეგობრებისაგან ძვირადღირებული სასმელის, საჩუქრებისა თუ მსხვილი ბანკნოტების მიღებას და თავისი პრო-საბჭოური გამოსვლებით ფაქტიურად KГБ-ს მარიონეტად იყო გადაქცეული.

პოლკოვნიკი იური კობალაძე უფრო მეტად ინტელექტუალური ელიტისა და მემარცხენე შეხედულებების მეცნიერების გადმობირებით იყო დაკავებული. მის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წარმატებად ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორის ფრედ ჰოლიდეის გადმობირებას [illegible] მელიც საერთაშორისო ურთიერთობათა აღიარებულ ექსპერტად ითვლებოდა და KГБ-ს დასავლეთის პოლიტიკის ანალიზსა და პროგნოზებს გადასცემდა.

ლეიბორისტული პარტიის სხვა წევრებიც ჯეკ ლამონდი, რონ ბრაუნი, ფრენკ ალაუნი აქტიურად ამარაგებდნენ KГБ-ს ლონდონის რეზიდენტურას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი თუ შიდაპარტიული ინფორმაციებით.

NATOSOPA-ს (National Society of Operative Printers...) მბეჭდავთა და ოპერატიულ მუშაკთა ეროვნული საზოგადოება) პრეზიდენტი ლორდი ბრიგინშოუ კი იმდენად იყო გათავხედებული, რომ 400—500 ფუნტი სტერლინგით გატენილ კონვერტებს ყოველგვარი სიფრთხილის დაცვის გარეშე პირდაპირ საელჩოში გამართული ბანკეტების მიმდინარეობისას იღებდა.

ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე (1947-1971) და პარლამენტის წევრი (1955-1987) ბობ ედვარსი კი KГБ-ზე მომუშავე ვეტერანი აგენტი გახლდათ. ესპანეთის სამოქალაქო ომის წლებში რესპუბლიკელთა მხარეზე მებრძოლი ედვარდსი 1926 და 1934 წლებში ხელმძღვანელობდა მოსკოვში ჩამოსულ ბრიტანეთის პროფკავშირულ დელეგაციებს და იმ დროიდან მოექცა KГБ-ს ყურადღების ქვეშ. 1977-1979 წლებში ევროპარლამენტის წევრი და დასავლეთ ევროპის გაერთიანებული სამხედრო საბჭოს წევრი მნიშვნელოვან სამხედრო ინფორმაციებს ფლობდა და KГБ-ს ოფიცრებთან ბრიუსელში შეხვედრებისას ფასდაუდებელ სამხედრო თუ პოლიტიკურ დოკუმენტებს გადასცემდა მათ. დაუჯერებელია, მაგრამ ოლეგ გორდიევსკის რწმუნებით, მას მინიჭებული ჰქონდა ხალხთა მეგობრობის ორდენი (ფარულად), რომელიც KГБ-ს მისეულ პირად არქივში ინახებოდა.

ბრიტანეთის ისთებლიშმენთის სხვა ავტორიტეტული წევრებიც შეძლებისდაგვარად იცავდნენ KГБ-ს ინტერესებს და საბჭოთა ჟურნალისტების სახელს ამოფარებული KГБ-ს ოფიცერთა მარიონეტებად ქცეულიყვნენ.

# მთავარი სამიზნე: პოტენციური პრემიერ-მინისტრი

დიდ ბრიტანეთში 1983 წლის არჩევნების მიმდინარეობას მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს. ლეიბორისტული პარტია და მისი ლიდერი მაიკლ ფუტი, რომელთაც აქტიურად უჭერდნენ მხარს პროფკავშირულ მოძრაობათა ხელმძღვანელები, მმართველ კონსერვატორებს ინფლაციის ზრდის, უმუშევრობისა თუ სხვა სოციალურ პრობლემათა მოუგვარებლობაში ადანაშაულებდნენ. რომ არა ფოლკლენდის კრიზისის წარმატებით გადაჭრა და ბრიტანეთის არმიისა და საზღვაო ფლოტის მიერ გამარჯვებით დაგვირგვინებული ოპერაციები, სწორედ მაიკლ ფუტი შეცვლიდა კონსერვატორების „რკინის ლედის“ მარგარეტ ტეთჩერს და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდებოდა.

მაიკლ ფუტი — ლეიბორისტული პარტიის ლიდერი (1980—1983), თემთა პალატის ლორდ-პრეზიდენტი (1976-1979), ბრიტანეთის შრომის მინისტრი ჰ.ვილსონის მთავრობაში (1974-1976), „ივნინგ სტანდარტ“ —ისა და „ტრიბუნ“-ის რედაქტორ-გამკარგულებელი, ბრიტანეთის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა.

წარმოიდგინეთ, რაოდენ საოცარი იყო КГБ-ს ლონდონის ცენტრის ხელმძღვანელის, პოლკოვნიკ ოლეგ გორდიევსკისათვის მოსკოვიდან მიღებული დაშიფრული ტელეფონოგრამა, რომელიც პოტენციური პრემიერ-მინისტრის და ბუტის ფსევდონიმით ცნობილი КГБ-ს 60-იანი წლების აგენტის იდენტურობას ამტკიცებდა და მასთან კონტაქტების აღდგენას ავალებდა.

„ბუტის ფსევდონიმით დაშიფრულმა ინფორმაციამ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ იასენევოში, КГБ-ს ბრიტანული არქივის გაცნობისას მიიპყრო“. — იგონებს ოლეგ გორდიევსკი, რომელიც 1974 წლიდან ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცერი გახდა და ორმაგი აგენტის ფუნქციებს ასრულებდა.

„ბუტის მოღვაწეობა შეფასებული იყო სიტყვით — ფასდაუდებელი. არსებული დოკუმენტები, მათ შორის КГБ-ს მიერ გაცემული თანხების დეტალური ჩამონათვალი მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას წარმოაჩენდნენ. ბუტის გადმობირება ითვლებოდა ბრიტანეთის პოლიტიკის აღიარებული ექსპერტის, პოლკოვნიკ მიხეილ ლიუბიმოვის მთავარ დამსახურებად“.

მიხეილ ლიუბიმოვი — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნითა და მიზანდასახულობით გამოირჩეოდა თანაკურსელთა შორის. დიპლომატიური აკადემიის წარჩინებული მსმენელი მალე მოექცა КГБ-ს მეთვალყურეობის არეალში და აკადემიის დამთავრების შემდეგ უცხოეთის დაზვერვის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა.

1961 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს ლონდონში, კენსინგტონ პელას გარდენში მოთავსებულ საბჭოთა საელჩოში გამართულ მორიგ დიპლომატიურ კოკტეილზე საზოგადოების ყურადღება სასიამოვნო გარეგნობისა და დახვეწილი მანერების მქონე ახალგაზრდამ მიიპყრო, რომელიც სტუმრებს საელჩოს ახალ პრეს-ატაშედ წარუდგინეს.

ასე დაიწყო ბრიტანეთში ჟურნალისტის საფარქვეშ მოღვაწეობა КГБ–ს პოლკოვნიკმა მიხეილ ლიუბიმოვმა, რომელიც საგანგებო დავალებით: კონტაქტი დაემყარებინა და გადმოებირებინა ბრიტანეთის წამყვანი პოლიტიკური მოღვაწენი, მივლინებულ იქნა ლონდონში.

ლიუბიმოვი, რომელსაც მეგობრებმა „მხიარული მაიკი“ შეარქვეს, სულ მოკლე დროში დაუახლოვდა მოწინავე ჟურნალისტებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს პერ უორსტონს („სანდი ტელეგრაფის“ მომავალი რედაქტორი), არტურ უოლკერს (მომავალი მინისტრი), იან მიკარდოს (ლეიბორისტული პარტიის მომავალი თავმჯდომარე) და განსაკუთრებით მაიკლ ფუტს — გაზეთ „ტრიბუნის“ მთავარ რედაქტორს.

60-იან წლებში მაიკლ ფუტი უკვე საკმაოდ ცნობილი იყო ელიტარულ საზოგადოებაში. ნიჭიერმა ჟურნალისტმა ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის წლებში, „ივნინგ სტანდარტის“ რედაქტორად მუშაობისას მოიხვეჭა ავტორიტეტი და ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს პარლამენტის წევრი გახდა. მემარცხენე შეხედულებათა აქტიური პროპაგანდისტი აღიარებულ იქნა ლეიბორისტების მიერ და სათავეში ჩაუდგა მათი პოლიტიკის ფლაგმანს, გაზეთ „ტრიბუნას“.

მემარცხენე აქტივისტების ეს გაზეთი ჯერ კიდევ ესპანეთის სამოქალაქო ომის წლებში დაფუძნდა და მრავალი მიმდევარი და თაყვანისმცემელი ჰყავდა არა მარტო ვესტმინსტერში, არამედ ლორდთა და თემთა პალატაშიც. მიუხედავად ტრედუნიონისტული მოძრაობის ლიდერთა მხარდაჭერისა, გაზეთი მაინც განიცდიდა ფინანსურ სიძნელეებს და ხშირად მოუწოდებდა მკითხველებს ქველმოქმედებისა თუ ფულადი შემოწირულობებისაკენ.

სწორედ ამან მიიპყრო КГБ-ს ყურადღება, რომლის პრაქტიკა მუდამ ითვალისწინებდა საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენას პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, რაც სასურველი პუბლიკაციებისათვის ცალკეულ ჟურნალისტთა ფინანსურ წახალისებას გულისხმობს.

სოჰოსა და ლონდონის სხვა გარეუბნებში მიკარგულ პატარა რესტორნებსა და ბარებში კონფიდენციალური შეხვედრებისას „ტრიბუნის“ რედაქტორი მცირე შემოწირულობებსა (200—300 გირვანქა სტერლინგი) და ლიუბიმოვის რჩევა-დარიგებებს (ინსტრუქციებს) იღებდა.

ცივი ომის წლებში „ტრიბუნი“ პრო-საბჭოურად აშუქებდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, მკვახე ტონებში აკრიტიკებდა NATO-ს და მის პოლიტიკას, მშრომელებს გაფიცვებისაკენ მოუწოდებდა და ა.შ.

„პრეზიდენტო კენედი, ხელები შორს სოციალისტური კუბისაგან!“, „შევაჩეროთ კონსერვატორთა შეთქმულება“, „გავაუქმოთ ლორდთა პალატა“. მსგავსი სათაურები „ამშვენებდნენ“ „ტრიბუნის“ მოწინავე სტატიებს.

ლიუბიმოვის მიერ 60-იან წლებში ბრიტანეთის გავლენიან პოლიტიკოსებთან დამყარებული კონტაქტები 6 მთავრობისა და 30 წლის განმავლობაში მოქმედებდა, რაც უჩვეულო მოვლენაა ჯაშუშობის ისტორიაში, თუმცა არც ბრიტანეთის კონტრდაზვერვა იჯდა გულხელდაკრეფილი და რამოდენიმე აგენტის (ბლეიკი, ლორდსდეილი, პერფიუმო) გამოაშკარავების შემდეგ მიხეილ ლიუბიმოვი ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან შეუთავსებელი საქმიანობის გამო გაძევებულ იქნა დიდი ბრიტანეთიდან 1965 წელს.

მოსკოვში დაბრუნებისას იგი ხელმძღვანელობს КГБ-ს ბრიტანეთის განყოფილებას. აქ იგი დაუახლოვდა სახელგანთქმულ კიმ ფილბის — ბრიტანეთის დაზვერვის M16-ის მაღალი რანგის ოფიცერს, რომელიც მხილებული იყო როგორც ორმაგი აგენტი და ამჟამად КГБ-ს ახალ ხელმძღვანელთაგან უსამართლოდ იგნორირებული ხელმოკლედ და მარტო ცხოვრობდა მოსკოვში.

ლიუბიმოვის ავტორიტეტითა და დახმარებით ფილბი მიწვეულ იქნა ბრიტანეთის სადაზვერვო საქმეთა კონსულტანტად. მადლობის ნიშნად მან დიდი დახმარება გაუწია ლიუბიმოვს სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვაში. ნაშრომი, რომლის სათაური იყო „ტიპიური ბრიტანული ხასიათის სპეციფიკური თავისებურებანი და მათი გამოყენება ოპერატიულ მუშაობაში“ დეტალურად აღწერდა თუ ვის არ შეიძლება გამოელაპარაკო ლონდონის მეტროპოლიტენში და პირიქით, ვინ უნდა დაპატიჟო ლუდზე იაფფასიან პაბში.

1975 წელს ლიუბიმოვი დაინიშნა КГБ-ს ცენტრის ხელმძღვანელად კოპენჰაგენში (დანია), სადაც პირველად გაიცნო და დაუახლოვდა ოლეგ გორდიევსკის.

მაიკლ ფუტი კი, რომელთანაც КГБ-მ დროებით შეწყვიტა კონტაქტი ლიუბიმოვის გაძევების შემდეგ, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანი გახდა: ორი წლის განმავლობაში შრომის მინისტრის პოსტი ეკავა, თემთა პალატის ლორდ-პრეზიდენტად აირჩიეს და 1980 წლიდან პარტიის ლიდერის პოსტზე ჯემს კალაჰანი შეცვალა.

„КГБ-ს გეგმით 1983 წლის არჩევნებში ლეიბორისტებს უნდა გაემარჯვათ და მოსულიყვნენ მთავრობაში“ — იგონებს მიხეილ ლიუბიმოვი — „ეს ცივი ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის უდიდეს უპირატესობას განაპირობებდა, მაგრამ სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე მუშაობისა, ლეიბორისტები დამარცხდნენ მარგარეტ ტეთჩერთან“.

„ბრიტანეთმა უარი უნდა სთქვას საკუთარ ბირთვულ რაკეტებზე და აქტიურად აწარმოოს განიარაღების პოლიტიკა, რაც საბოლოო ჯამში NATO-ს სტრატეგიის შეცვლასა და მის პოლიტიკურ კვდომას გამოიწვევს“ — წერდა მაიკლ ფუტი გაზეთ „ტრიბუნის“ მოწინავეში.

ისტორიამ კი სულ სხვანაირად განსაჯა:

30 წლის შემდეგ საბჭოთა იმპერია დაიშალა, ხოლო NATO დღესაც პოლიტიკური სტაბილურობის მყარ გარანტად ითვლება ევროპაში.




ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 5. მიმდინარეობა ხელოვნებაში 8. მე-19—20 ს-ის გამოჩენილი რუსი ფერმწერი 9. მუსიკალური საკრავი 11. ორნახშირმჟავა ნატრიუმი 13. თამაში — გამოცანა 14. დაცინვა 17. წერილი 19. რაიმე საქმეში უაღრესად დაოსტატებული ადამიანი 21. სიტყვის საწინააღმდეგო მნიშვნელობა 22. სახელის ან გვარის პირველი ასო 23. როლები, რომლებიც შეეფერება ამა თუ იმ მსახიობის შესაძლებლობას 26. მე-19 ს-ის გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი 29. აღმ. საქართველოს ძვ. სახელწოდება 31. ქალაქი რუსეთში 32. გამოწეული ნაწილი შენობაში 33. რისამე სრულყოფის განსახიერება 34. ბეჭდვა ბრტყელი ქვის ზედაპირიდან, რომლებზეც გაკეთებულია ნახატი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სინამდვილის ამსახველი შემოქმედი 2. მხატვრული ნაწარმოების წინ წამძღვარებული ციტატა 3. მიმდინარეობა ძირითადად არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში 4. კლასიციზმის მომდევნო სტილი დეკორატიულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში ევროპაში 6. მუსლიმანთა წმინდა ადგილი 7. გარემოს ვითარებაში გარკვევის უნარი 10. ნახატი, რაზეც ვინმე დამახინჯებულადაა გამოსახული 12. სტამბა 15. განყოფილება 16. ვინმესადმი ან რაიმესადმი დიდი აღტაცების გამოხატვა 18. მტაცებელი ფრინველი 20. ევროპის ქვეყნის დედაქალაქი 24. მხატვრული შედარება 25. ქედი ჩინეთში 27. სახელმწიფოს გამგებელი 28. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება 29. დაავადება, არტერიის შევიწროვება 30. სატრანსპორტო საშუალება.

## ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ვერნისაჟი 5. ოკეანე 7. ბრეჰტი 10. შაირი 12. რეალიზმი 13. მენეჯერი 15. აშუღი 18. თამარი 19. ვერსია 20. სენტენცია.**

**ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. ელენე 3. ინერცია 4. ჟანრი 6. კამპანელა 8. ტურგენევი 9. კლიშე 11. პიანო 14. დუმბაძე 16. ეროსი 17. ჩერნი.**


## ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

**1995 წლის 24 სექტემბრიდან ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში (ა.მ.კ.) კოსტავას ქ.№36 — იწყება ლიტერატურულ-ინტელექტუალური თამაშ „ლითა“-ს მეხუთე ჩემპიონატი.**

**თამაშები ჩატარდება ყოველ კვირა დღეს, მონაწილეობის მიღების მსურველებმა მოგვმართეთ ყოველ დღე, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, 11-დან 17 სთ-მდე. საბუთების მიღება იწარმოებს 22 სექტემბერს 17 სთ-მდე. გუნდებს შორის კენჭისყრა შედგება 23 სექტემბერს 13 საათზე.**

**ჩემპიონატის გამარჯვებულ გუნდს და აგრეთვე პრიზიორებს ელით ფულადი პრემიები და უამრავი პრიზები.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ა.მ.კ-ში ან დაგვირეკეთ შემდეგ ტელეფონებზე:**
**99—57—99, 93-18-22**
**12-დან 17 საათამდე**
**„ლითა“-ს დირექცია.**



მთავარი რედაქტორი
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲠᲘᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
სარედაქციო კოლეგია:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲐᲜ ᲑᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ, ᲑᲔᲚᲐ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ (პასუხისმგებელი მდივანი), ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲗᲐᲫᲔ, ᲨᲝᲗᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲔᲓᲝ ᲞᲐᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲕᲚᲘᲐᲜᲔ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ქ. 5

ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66447

ᲤᲐᲡᲘ 1500 ᲠᲣᲑᲚᲘ, ᲐᲜ 400000 ᲙᲣᲞᲝᲜᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:
93-20-36,
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ:
93-19-99
93-18-41